სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №33

ქ. რუსთავი 08 აპრილი 2015 წელი

ერთის მხრივ ააიპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავება“ (შემდგომში ,,შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის ბადრი მოდებაძის სახით და მეორეს მხრივ, შპს „D&H 2012“ (შემდგომში ,,მიმწოდებელი“) დირექტორის დავით ნადირაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების კანონის მე-3 მუხლის 1 პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის თანახმად, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1.1 ,,ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში - ,,ხელშეკრულება“) - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2 ,,ხელშეკრულების ღირებულება“ - საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების სრული და ზედმიწევნით შესრულებისათვის.

1.3 ,,დღე“. ,,კვირა“, ,,თვე“-კალენდარული დღე, კვირა, თვე.

1.4 ,,შემსყიდველი“- ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.5 ,,მიმწოდებელი“ - პირი, რომელმაც შემსყიდველ ორგანიზაციასთან დადო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ;

1.6 ,,მხარე“ - ,,შემსყიდველი“ ან/და ,,მიმწოდებელი“.

1.7 ,,საქონელი“ - ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საწმენდი და საპრიალებელი პროდუქციის შეძენა დანართი №1-ის შესაბამისად (CPV398)

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს **686 (ექვსასოთხმოცდაექვსი) ლარს.**

3.2 ხელშეკრულების საერთო ღირებულება მოიცავს ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმები დავადები

4.1 ,,მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორება ხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

4.2 ანგარიშსწორება იწარმოებს მხარეთა მიერ ,,მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დამადასტურებელი შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

4.3 ანგარიშსწორების ვადა: 4.2 პუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 სამუშაო დღე.

4.4 დაფინანსების წყარო: 2015 წლის ადგილობრივი ბიუჯეტი.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შემდეგ მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს.

5.2 საქონლის მიღება განხორციელდება შესაბამისი მიწოდებული საქონლის დამადასტურებელი მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერის დღიდან.

5.3 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტზე ხელს აწერს ააიპ ,,ქალაქ რუსთავის დასუფთავების" დირექტორი ხოლო მიმწოდებლის მხრიდან შპს ,,უნიფორმა და უსაფრთხოება“ –ს წარმომადგენელი.

5.4 მიღება-ჩაბარების აქტში მითითებული უნდა იყოს:

- ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების დასახელება;
- ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულება;
- ,,მიმწოდებლის“ მიერ შესრულებული ვალდებულების აღწერა.

6. საქონლის მიწოდების ვადა და ადგილი

6.1 საქონლის მიწოდების ადგილად განისაზღვრება ქ. რუსთავი, 12მ/რ, სტამბულის ბაზრის მიმდ. ტერიტორია.

6.2 საქონლის მიწოდების ვადაა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ათ დღეში.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი უფლებამოსილია:

ა) ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ველდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;

ბ) საქონლის სრულ და ჯეროვნად მიწოდებამდე გამოითხოვოს მიმწოდებლისაგან მისთვის საჭირო დოკუმენტი.

7.2 შემსყიდველი ვალდებულია:

ა) უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ შესრულებული ვალდებულების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით;

7.3 მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს შესრულებული ვალდებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სათანადო ხარისხისა და სრული მოცულობით, იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 6.1. პუნქტში;

ბ) იმ შემთხვევაში, თუ მისაწოდებელი საქონელის რომელიმე პარამეტრი არ შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს, საკუთარი სახსრებით აღმოფხვრას აღმოჩენილი ხარვეზი და წარმოადგინოს სრულყოფილი ვარიანტი.

8. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

8.1 ინსპექტირების გამწევის ფუნქციები:

ა) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების ხარისხსა და მიწოდების ვადების ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, სათანადო კონტროლისა და ზედამხედველობის განხორციელება, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

ბ) სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად „მიმწოდებელთან“ ანგარიშსწორების პროცესის რეგულირება.

გ) „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი შესრულებული ვალდებულების ნაკლოვანებებს ინსპექტირების გამწევი აფიქსირებს ოქმით. დაფიქსირებული ხარვეზების გამოსწორება ხდება „მიმწოდებლის“ მიერ საკუთარი ხარჯებით.

„მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისას გამოვლენილი ყველა ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრათან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება „მიმწოდებელს“ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. პირგასამტეხლო ხელშერულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1 „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, „მიმწოდებელს“ დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების **0,3%** -ის ოდენობით.

9.2 იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ჯამური ღირებულების **3%**-ს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისათვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1 ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისიწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილო წესით.

10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5 მხარე ვალდებულია 10.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

10.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

შემსყიდველი **მიმწოდებელი**

11. დაუძლეველი ძალა

11.1 მხარეები თავისფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გაწეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

11.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მეორე მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

11.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

13.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების დასაწყისში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
ა(ა)იპ „ქალაქ რუსთავის დასუფთავება" *მის:ქ.რუსთავის, მ.კოსტავას გამზ # 20* *საიდენტიფიკაციო კოდი №416316016* *ბანკი :სახელმწიფო ხაზინა* *ხაზინის ერთიანი ანგარიში* *ბანკის კოდი :TRESGE22* *მიმღების ანგარიში:GE24NB0330100200165022*	*შპს „D&H 2012"* *მის: ქ. რუსთავი, 12მ/რ, სტამბულის გაზრის მიმდ. ტერიტორია* *საიდენტიფიკაციო კოდი №439393247* *ს.ს. „საქართველოს ბანკი"* *ბ/კ №BAGAGE22* *ა/ა № GE84BG0000000880746300*
ა(ა)იპ„ქალაქ რუსთავის დასუფთავების" დირექტორი	შპს „D&H 2012"-ს დირექტორი
ბადრი მოდებაძე	*დავით ნადირაძე*

დანართი 1

№	დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება (ლარი)
1	დომესტოსი	39830000	40	2.30	92
2	რაქშა	39830000	40	1.20	48
3	მინის საწმენდი	39830000	40	1.50	60
4	ავეჯის საწმენდი	39830000	30	6.50	195
5	სარეცხი ფხვნილი	39830000	40	1.30	52
6	ჭურჭლის სარეცხი ჟელე	39830000	20	2.90	58
7	მასტიკა	39830000	10	2.50	25
8	თხევადი მასტიკა	39830000	4	14	56
9	აეროზოლი	39811100	40	2.50	100
	სულ ჯამი				686

მიღება–ჩაბარების
აქტი
№33-1

ქალაქი, რუსთავი „15“ აპრილი 2015 წელი

სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 2015 წლის 08 აპრილის №33 ხელშეკრულების მოთხოვნის პირობების დაცვით ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ,,ქალაქ რუსთავის დასუფთავების“ დირექტორის **ბადრი მოდებაძის** სახით(შემდგომში ,,შემსყიდველი,,) და მეორეს მხრივ შპს „D&H 2012“ (შემდგომში „მიმწოდებელი“) დირექტორი **დავით ნადირაძის** სახით ვადგენთ აქტს მასზედ, რომ „მიმწოდებელმა“ გადასცა, ხოლო „შემსყიდველმა“ მიიღო საწმენდი და საპრიალებელი პროდუქცია 686 (ექვსასოთხმოცდაექვსი) ლარის ღირებულების დანართი №1-ის შესაბამისად.

აქტის სინამდვილეს ვადასტურებთ ხელის მოწერით:

„გადასცა“ **„მიიღო“**

დანართი 1

№	დასახელება	CPV კოდი	რაოდენობა	ერთეულის ფასი	ღირებულება (ლარი)
1	დომესტოსი	39830000	40	2.30	92
2	რაქშა	39830000	40	1.20	48
3	მინის საწმენდი	39830000	40	1.50	60
4	ავეჯის საწმენდი	39830000	30	6.50	195
5	სარეცხი ფხვნილი	39830000	40	1.30	52
6	ჭურჭლის სარეცხი ჟელე	39830000	20	2.90	58
7	მასტიკა	39830000	10	2.50	25
8	თხევადი მასტიკა	39830000	4	14	56
9	აეროზოლი	39811100	40	2.50	100
	სულ ჯამი				686

კორექტირების თარიღი: 15/04/2015 15:09:32

1	სასაქონლო ზედნადები #	ელ- 0168286787

2	15/04/2015

თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)

3	14:57:56

დრო (საათი, წუთი)

(დღგ-ს გადამხდელი)

4	შპს D&H-2012	439393247
	გამყიდველის (გამგზავნის) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო/პირადი ნომერი

5	ქალაქ რუსთავის დასუფთავება	416316016
	მყიდველის (მიმღების) დასახელება,ან სახელი და გვარი	საიდენტიფიკაციო / პირადი ნომერი

6	ოპერაციის შინაარსი	ტრანსპორტირებით

7	რუსტავი ლეონიძის მ\ტერ ნაკვ.816

ტრანსპორტირების დაწყების ადგილი (მისამართი)

8	ქ.რუსთავი მ.კოსტავას გამზირი#20

ტრანსპორტირების დასრულების ადგილი (მისამართი)

9	საავტომობილო

ტრანსპორტირების სახე

10	NOE027

სატრანსპორტო საშუალების სახელმწიფო ნომერი

X

მისაბმელი

11	სატრანსპორტო საშუალების მძღოლის პირადი ნომერი	35001000042 ზურაბ ლაბაძე

12	გამყიდველის(გამგზავნის)/მყიდველის(მიმღების) მიერ გაწეული ტრანსპორტირების ხარჯი	მყიდველი - 0

თანხა ლარებში

სასაქონლო ზედნადების ცხრილი

#	საქონლის დასახელება	საქონლის კოდი	საქონლის ზომის ერთეული	საქონლის რაოდენობა	საქონლის ერთეულის ფასი*	საქონლის ფასი *
1	მათეთრებელი domestos artos 0.75გ	0023	ცალი	40.0000	2.3000	92.0000
2	მექანიკური ფხვნილი	4820020262808	ცალი	40.0000	1.2000	48.0000
3	არტოსის მინის საწმენდი სპრეი	1079	ცალი	40.0000	1.5000	60.0000
4	ავეჯის საწმ. პრონტო	40002909003506	ცალი	30.0000	6.5000	195.0000
5	ს/ფ ალფა 300გ ხელის	8690511992820	ცალი	40.0000	1.3000	52.0000
6	ფეირი ლიმონის 0.750მლ	5413149798854	ცალი	20.0000	2.9000	58.0000
7	იატაკის საწმენდი მასტიკა 250გრ	4850003980061	ცალი	10.0000	2.5000	25.0000
8	თხევადი მასტიკა''ბაგი'' 1ლტ	729000395446	ცალი	4.0000	14.0000	56.0000
9	აეროზოლი	0137	ცალი	40.0000	2.5000	100.0000

13	686 - ექვსას ოთხმოცდაექვსი ლარი და ნული თეთრი

მიწოდებული საქონლის მთლიანი თანხა (ციფრებით და სიტყვიერად)

14	

გამყიდველი (გამგზავნი)/საქონლის ჩაბარებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

15	

მყიდველი (მიმღები)/საქონლის მიღებაზე უფლებამოსილი პირი (თანამდებობა, სახელი და გვარი)

16	

ხელმოწერა

17	

ხელმოწერა

18	მიწოდებული საქონლის ჩაბარების	15/04/2015	15:10:00
		თარიღი (რიცხვი, თვე, წელი)	დრო (საათი, წუთი)

19	უნაღდო

შენიშვნა: * დღგ-ს გადამხდელისათვის დღგ-ს ჩათვლით, აქციზის გადამხდელისათვის აქციზურ საქონელზე, დღგ-ს და აქციზის ჩათვლით

ამობეჭდვის თარიღი 15/04/2015, 16:33:33